**„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 21.09.2020, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016068) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს პარლამენტმა 2025 წლის 1 თებერვლამდე უზრუნველყოს ამ რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 204-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტითა და ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს საბჭოს დაკომპლექტების მიზნით სათანადო ღონისძიებების განხორციელება.“.

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ რეგლამენტის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.“.

**მუხლი 2.** ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის**
**თავმჯდომარე** **შალვა პაპუაშვილი**

**თბილისი,**

**22 დეკემბერი 2022 წ.**

**N2525-Xრს-Xმპ**